



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



გემის მექანიკა

პროგრამის მოკლე აღმწერი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: №219, 28.11.2019



European Commission
TEMPUS



iamu



The
Nautical
Institute



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში
პროგრამის ხელძღვანელები	ზაზა შუბლაძე, ასოცირებული პროფესორი z.shubladze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება -4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა , ლაბორატორიული სამუშაოები, სასწავლო საცურაო პრაქტიკა





პროგრამის მიზანი

მოამზადოს ეროვნული (დარგობრივი მახასიათებელი („საზღვაო ინჟინერია“) და საერთაშორისო სტანდარტის STCW კონვენციის (A-III/1, A-III/2, A-III/3) მოთხოვნების შესაბამისი დამხმარე, ექსპლუატაციისა და მართვის დონის გემის ინჟინერ-მექანიკოსი, რომელიც გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე შეძლებს ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემის მექანიკოსის მორიგი წოდება დაწყებული გემის სავახტო მექანიკოსიდან გემის უფროსი მექანიკოსის ჩათვლით. განუვითაროს ზოგადი ცოდნის და დარგობრივი უნარების გამოყენებით პრობლემების გადაწყვეტის, სწავლების და კვლევების დაგეგმვის, ორგანიზაციის უნარი, რის საფუძველზეც კურსდამთავრებული შეძლებს პიროვნულ განვითარებას, კარიერულ ზრდას და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია:

- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და პრობლემის იდენტიფიცირება;
- საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციასთან, ტექნიკურ ლიტერატურასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ ანგარიშებთან და სხვა საინფორმაციო მასალებთან მუშაობა (მათ შორის ინგლისურ ენაზე);
- გემის ენერგეტიკული დანადგარების, მთავარი ძრავის ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე სისტემების მომსახურების პრაქტიკული უნარჩვევები;
- პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოთა ორგანიზება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სიცოცხლისუნარიანობისთვის ბრძოლა, სამაშველო საშუალებების გამოყენება;

პროგრამის შედეგები





პროგრამის სტრუქტურა



ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 240 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

პროგრამა შედგება სავალდებულო ძირითადი დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი და არჩევითი /თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისაგან.

ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცეცინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას. გამონაკლისს წარმოადგენს VI (სასწავლო საცურაო პრაქტიკის) სემესტრი, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს არა ნაკლებ 180 დღეს, ანუ 6 თვეს.

პრაქტიკის სემესტრის გახანგრძლივება განპირობებულია მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონისა და STCW კონვენციაში მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების პროცესში შესაბამისი საცურაო სტაჟის მინიმალური ხანგრძლივობის

ბის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო საცურაო პრაქტიკისა და სტუდენტის საოკეანო სავაჭრო გემებზე პრაქტიკის ხანგრძლივობამ მთლიანობაში უნდა შეადგინოს არანაკლებ 12 თვე. სასწავლო საცურაო პრაქტიკას სტუდენტები გადიან გემზე და აკადემიის სამანქანო, სატაკელაჟო, საზეინკლო, სახარატო, ელექტრო და აირშედულების და ელექტროსამონტაჟო სასწავლო სახელოსნოებში.

დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და გემზე საზღვაო-საცურაო პრაქტიკის გავლის შედეგად კურსდამთავრებული ეტაპობრივად მოიპოვებს გემზე სამუშაო ლიცენზიისათვის აუცილებელ საცურაო სტაჟს, რაც აუცილებელია საოკეანო სავაჭრო გემების მართვისა და ექსპლუატაციის პასუხისმგებლობის დონის სამეთაურო შემადგენლობის, გემთმექანიკოსის კომპეტენციის მისაღებად. ასევე შეუძლია დასაქმდეს საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებული კერძო კრუინგულ, სტივიდორულ, კონსალტინგურ და სხვა კომპანიებში;



**ადამიანური
რესურსი**

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული დარგის სპეციალისტები:

- პროფესორი – 5;
- ასოცირებული პროფესორი – 19;
- ასისტენტი-4
- ასისტენტ პროფესორი – 1;
- მოწვეული მასწავლებელი- 30;

**მატერიალური
რესურსი**

საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც უახლესი თანამედროვე კომპიუტერული გამზომი ინსტრუმენტებითა და დანადგარებითაა აღჭურვილი.

სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება:

- ფიზიკისა, ქიმიის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის სასწავლო ლაბორატორიები;
- დიზელის რეალური ძრავებით აღჭურვილი სამანქანო დარბაზი;
- საზღვაო, სახარატო და შემდუღებელი ლაბორატორია;
- სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟერი;
- სატაკელაჟო საქმის ლაბორატორია.

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.

**შეფასების
სისტემა**

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.



I	Intermediate ინგლისური MF1 -5 ECTS ან 2. Intermediate Plus ინგლისური MF1 5 ECTS	ფიზიკური მომზადება I 2 ECTS	მათემატიკა MF I 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF I 5 ECTS	ინფორმაციული ტექნოლოგიები საზღვაო საქმეში MF 4 ECTS		ინდუსტრიული ქიმია MF 4 ECTS	საინჟინრო გრაფიკა ME/TP 5 ECTS
II	1.Pre Intermediate ინგლისური MF25 ECTS ან 2.Intermediate Plus ინგლისური MF2 5 ECTS	ფიზიკური მომზადება II 2 ECTS	მათემატიკა MF II 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF II 5 ECTS	საკონსტრუქციო მასალათა ტექნოლოგია 5 ECTS	გემის კონსტრუქციები და მდგრადობა ME/ EE 5 ECTS	არჩევითი კომპონენტი 3 ECTS	
III	საზღვაო ინგლისური ენა ME 1.1 5 ECTS	სასწავლო ტექნოლოგიური პრაქტიკა ME 5 ECTS	ტექნიკური თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა 5 ECTS	მექანიკა და ჰიდრომექანიკა 5 ECTS	ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები 5 ECTS		გემის დამხარე მექანიზმები , სისტემები და მათი ექსპლუა ტაცია I 5 ECTS	
IV	საზღვაო ინგლისური ენა ME 1.2 5 ECTS	გემის საქვაბე დანადგარების და მათი ექსპლუატაცია 5 ECTS	გემის შიგაწვის ძრავების კონსტრუქცია და მათი სისტემები 5 ECTS	გამოყენებითი მექანიკა 5 ECTS	საზღვაო უსაფრთხოების წესები ME/EE 5 ECTS		გემის დამხარე მექანიზმები , სისტემები და მათი ექსპლუა ტაცია II 5 ECTS	
V	საზღვაო ინგლისური ენა ME 2 5 ECTS	გემის სამაცივრო დანადგარები , ჰაერის კონდიციონერების სისტემები და მათი ექსპლუატაცია 5 ECTS	გემის შიგაწვის ძრავების თეორია და მათი ექსპლუატაცია 5 ECTS	პნევმო და ჰიდროა ვტომეტიკის საფუძვლები ME/EE 5 ECTS	გემის ელექტრომოწყობილობები 5 ECTS		გემის ტურბომანქანები და მათი ექსპლუატაცია 5 ECTS	
VI	სასწავლო საცურაო პრაქტიკა ME 30 ECTS							
VII	გემის ენერგეტიკული დანადგარების ავტომატიზაცია I 5 ECTS	გემის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება 5 ECTS	ლიდერობა და ეთიკა MF 5 ECTS	საზღაო სამართალი და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციების კონვენციები ME 5 ECTS		გემის ელექტრონული აპარატურა და მართვის სისტემები 5 ECTS	ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენცია და დაბინძურებასთ ან ზრბოლის პროცედურები 5 ECTS	
VIII	გემის ენერგეტიკული დანადგარების ავტომატიზაცია II 5 ECTS	ხარისხის უზრუნველ- ყოფა და საზღვაო რისკების მართვა გემებზე 5 ECTS	პროფესიული ცოდნა და კომპეტენციები 5 ECTS	გემებზე საწვავის, ზეთის და წყლის გამოყენების ტექნოლოგიური პროცესები 5 ECTS		გემის სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა 5 ECTS	თავისუფალი კომპონენტი 5 ECTS	



BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ღირსება, ცოდნა, გამოცდილება !